

26.12.2013

პრესრელიზი

ეუთოს დოკუმენტური ფილმი საქართველოში მულტილინგვური განათლების რეფორმის შესახებ

26 დეკემბერს, 12:00 საათზე სასტუმრო „ამბასადორში“ (დიდ საკონფერენციო დარბაზში, მისამართი: თბილისი, შავთელის ქ.13) გაიმართება პროექტის „საქართველოში მულტილინგვური განათლების შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება“ შედეგების წარდგენა და პრეზენტაცია. პროექტი ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისისა (HCNM) და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ განხორციელდა.

დოკუმენტური ფილმი „საქართველო: მრავალენოვანი ქვეყანა - როგორ გადავლახოთ ენობრივი ბარიერი“, რომელიც საქართველოში ენობრივი პოლიტიკისა და განათლების სფეროში HCNM - ის ათწლიან გამოცდილებას ასახავს, ეუთომ 2012 წელს გადაიღო.

ფილმი მიზნად ისახავს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას მულტილინგვური განათლების რეფორმის შესახებ, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ ხორციელდება. ფილმის მიზანია ამ სფეროში დაინტერესებულ ყველა ადამიანს გააცნოს ის უპირატესობები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, ის გამოწვევები, რომლებიც ამ რეფორმის განხორციელებას ახლავს თან. ასევე გააცნოს ის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება მულტილინგვური განათლების რეფორმის ფარგლებში.

პრეზენტაციას დაესწრებიან: განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და რეფორმის ავტორები, განათლების ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვები.

ღონისძიებაზე ასევე ნაჩვენები იქნება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გამართული დისკუსიების მოკლე ვიდეო კოლაჟი, რომელიც წარმოადგენს ამ რეგიონებში ნაჩვენები ფილმისა და ზოგადად, მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | ketevanjachvadze@gmail.com 595 511050